1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

37Ž237



1937 წ. № 9

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 9
სექტემბერი
1937 წ.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი"
რედაქ. მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

შინაარსი

		გვ.
1.	ილია სიხარულიძე—დაბრუნება სკოლაში (ლექსი)	1.
2.	ფერილი მაძსიმ გორკის	2.
3.	მაძსიმ გორკი—ბელურას ბარტყი (მოთხრობა თარგმანი ირ. ქავჟარაძისა)	2.
4.	კალე გოგოხიძე—რაზმის ხელმძღვანელი (ლექსი)	4.
5.	ი. ჩხაიძე—შაქირა (მოთხრობა)	5.
6.	მიმძრალი—პატარების სიმღერა (ლექსი)	7.
7.	არნო ოგელი—ნოდარის ოცნება (ლექსი)	8.
8.	ლავრენტი ჭიჭინაძე—აკიდოები (მოთხრობა)	9.
9.	ალი-ბაბა—(აღმოსავლური ზღაპარი თარგმანი ი. გრიშაშვილისა)	12.
10.	ნიკო კეცხოველი—წყლისსანთელა (ნარკვევი)	15.
11.	ა. აკოფოვი—პატარა ლიზიკო (ლექსი)	16.
12.	ლადო კახიანი—მაჩვზღარბი (ნარკვევი)	16.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

13.	ალ. საჩინოელი—გამოცანა	გარეკანის მე-4 გვ.
14.	კლ. თევზაძე—ამოცანა ასანთებზე	გარეკანის მე-4 გვ.
15.	ჯოდოკრ დადიანი—გამოცანა	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ **ივ. ჯაფოშვილის** მიერ.

ჟურნალის გარეკანის პირველ გვერდზე მოთავსებულია **ი. ჭავჭავაძის** ობელისკი, რომელიც გაიხსნა წიწამურში 12 სექტემბერს. ნახ. ეკუთვნის **დონს.**

პ/მგ. რედაქტორი გაგო ჭაჭიაშვილი **პ/მგ. მდივანი ლ. ჭიჭინაძე**

გადაეცა წარმოებას 10/VIII-1937 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IX ფორმათა რაოდენობა 16 გვ. 9¼×14

მთ. № ე-10520, ტირ. 5000 შეკვ. № 647 საქ. კ.პ.(ბ) ც.კ. გამ. ამხ. ს. თოდრიას სახ. „კომუნისტის" სტამბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

ლაბრუნება სკოლაში

ჰო ჰო, რა ფუსფუსია!
საფუტკრეს მოგაგონებს!
სკოლა კვლავ აუვსია
ბიჭებსა და გოგონებს:
მოგროვილან ყველანი,
სკოლას ისევ სწვევიან,
ხელს ართმევენ ერთმანეთს,
ჰკოცნიან, ეხვევიან!
აგერ, სკოლის სასწორთან
არის გაწამაწია:
„რვა კილო მოვიმატე!“
ამბობს გივი პაწია,
ოთხი კილო ფეხებზე
მარტო ბუცი აცვია.
ყველაფერი ირკვევა
მათი ლაპარაკიდან:
ვინ სოფლიდან მოსულა
და ვინ აგარაკიდან,
ვინ ბანაკში ყოფილა,
ვინ — ქვიშხეთში, ვინ — ცემში.
ვინ — შავ ზღვაზე, ბათუმში,
მჯდარა ნავში და გემში;
ვის ცურვა უსწავლია,
ვის — ცეკვა, ვის — ჭადრაკი,
ვის — სალამურზე დაკვრა,
სიმღერა, ხმის რაკრაკი.
ნიკო ამბობს: „ცურვაში
ვერვინ შემეჯიბრებით,
მხარულს ისე მოვუსვამ,
რომ მნახოთ, გაკვირდებით!“
— „ჭადრაკში ვინ მაჯობებს! —
ამბობს ილარიონი, —
წელს ქვიშხეთის ბანაკში
ვიყავი ჩემპიონი!“
აგერ, მასწავლებლებიც!
ყველანი აქ არიან:
პეტრე, ნიკო, არჩილი,
ივანე, ზაქარია!
აგერ, სკოლა სულ ყველას
მოეწონა ძალიან:
დერეფანი პრიალებს,
პარტები ახალია,
დაფებს სახე უბრწყინავთ,
დგანან შეღებილები,
შავ ჩარჩოზე უწყვიათ
ცარცის თეთრი „კბილები...
ყველაფერი მზად არის:
ხელსაწყო და წიგნები,
ისმის: „ფრიადოსანი
წელს უთუოდ ვიქნები“.
არის ერთი ამბავი,
კისკისი, ხმაურია,
ყველას სწავლის დაწყება
მოუთმენლად სწყურია...
და .. ზარიც აწკრიალდა,
უხვად ხმები დაფანტა...
აჰა, სწავლა დაიწყო,
ვინ ზის, ვინ დგას დაფასთან,
მასწავლებელს უსმენენ
დინჯად, გულმოდგინებით,
ზიდის დრო შეუმჩნევლად,
თავისუფალ დინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მაქსიმ გორკის

გორკი თავის შვილიშვილთან.

ერთხელ ალექსი მაქსიმეს ძე გორკიმ მიიღო წერილი ექვსი წლის ბიჭისაგან, ბორიასაგან.

„ძია ალიოშა, მიყვარხარ, — სწერდა ბორია. — გყავს თუ არა ცხენი, ძროხა და ხარი? დამიწერე მოთხრობა ბელურას ბარტყზე და კიდევ დაგვიწერე რაიმე მოგონილი მოთხრობა, რომ ბიჭი ანკესით თევზაობდეს.

გკოცნი. ბორია. შენი ნახვა მინდოდა“.

o

ეს იყო 1912 წელს.

ალექსი მაქსიმეს ძემ ბორიას უპასუხა მარტო წერილით კი არა, არამედ მოთხრობებითაც. ერთ იმათგანს ვბეჭდავთ ჟურნალში.

ა. მ. გორკიმ მოთხრობას ბორიასებურად დაარქვა: „ბელურას ბარტყი“.

მაქსიმ გორკი

ბელურას ბარტყი

ბელურებშიაც, სწორედ ისე, როგორც ადამიანებში, არიან მშობლები — ბელურები, მოსაწყენი ჩიტუნები. ისინი ყველაფერზე ლაპარაკობენ, როგორც წიგნში სწერია ხოლმე, ახალგაზრდები კი თავის ჭკუაზე დადიან.

იყო ერთი ყვითელნისკარტა, პატარა ბელურა, სახელად პუდიკი; ის ცხოვრობდა აბანოს სარკმლის თავზე, თამასას ზემოთ, ძენძითა, ხავსითა და სხვა რბილი მასალით ჩამთბარ ბუდეში. ფრენა ჯერ არ უცდია, მაგრამ ფრთებს უკვე აქნევდა და წარამარა ბუდიდან იცქირებოდა.

— რას იჭყიტები? — ეკითხებოდა მას დედა-ბელურა.

ბარტყი ფრთებს აფართხუნებდა, მიწას დასცქეროდა და ჭიკჭიკებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რა შავია, რა შავია!

მამიკო მოფრინდებოდა, პუდიკოსათვის მუმლი მოჰქონდა და ტრაბახობდა:

— ხომ ვარ ბიჭი, ბიჭი?

დედა-ბელურა მას ამხნევებდა:

— ბიჭი ხარ, ბიჭი!

პუდიკო მუმლს ყლაპავდა, თან ფიქრობდა:

— რას იბზიკებიან, — ფეხებიანი ჭია მომცეს! საოცარი!

და წარამარა ბუდიდან ამოძვრებოდა ხოლმე, აქეთ-იქით იცქირებოდა.

— ბიჭიკო, ბიჭიკო, — ღელავდა დედა, — ნახავ, თუ არ გადაიჩეხები!

— სად გადავიჩეხები?

— სად და მიწაზე გაადენ ტყაპანს, კატა — ყლაპ და გადაგსანსლავს, — უხსნიდა მამა და სანადიროდ მიფრინავდა.

ყველაფერი ასე მიდიოდა, ფრთები კი ზრდას არ ჩქაროობდა. ერთხელ ქარმა დაუბერა. პუდიკი კითხულობს:

— რა ჭრიჭინია? რა ჭრიჭინია?

— ქარი დაგიბერავს — ჭიკ! და მიწაზე დაგაგდებს კატისათვის, — უხსნიდა დედა.

ეს პუდიკს არ მოეწონა და თქვა:

— ხეები რატომ ქანაობენ? შესწყვიტონ, მაშინ ქარი აღარ იქნება...

დედამ სცადა აეხსნა, რომ ეს სწორი არ იყო, მაგრამ ბარტყმა არ დაუჯერა — ის ყველაფერს თავისებურად ხსნიდა.

აბანოს გვერდით გლეხი მიდის, ხელებს იქნევს.

— მისთვის კატას ფრთები სულ მთლად მოუგლეჯია, — თქვა პუდიკმა, — მხოლოდ ძვლებიღა დარჩენილა!

— ეს ადამიანია. ადამიანები უფრთონი არიან! — უთხრა დედა-ბელურამ.

— რატომ?

— ასეთი ჯიშისა არიან, უფრთოდ უნდა იცხოვრონ, ისინი მუდამ ფეხებზე დადიან, ჭიკ!

— რატომ?

— მათ რომ ფრთები ჰქონდეთ, ისე დაგვიჭერდნენ, როგორც მე და მამილო მწერებს ვიჭერთ ხოლმე...

— ჭორია! — თქვა პუდიკმა. — ჭორი. ჩმახი! ყველას ფრთები უნდა ჰქონდეს. ალბათ, მიწაზე უფრო ცუდია, ვიდრე ჰაერში! როცა დიდი გავხდები, ისე მოვაწყობ, რომ ყველა ფრენდეს.

პუდიკს დედისა არა სჯეროდა.

ჯერ არ იცოდა პუდიკმა, რომ დედის არდამჯერეს საქმე ცუდად წაუვიდოდა.

პუდიკი სწორედ ბუდის კიდეზე დასკუპულიყო და მთელი ხმით მღეროდა თავის მიერ გამოთქმულ ლექსებს.

უფრთო ადამიანს,
ეჰ, გაქვს მხოლოდ ფეხები.
ბუმბერაზს, დიდტანიანს
მაინც გჭამენ მწერები.
მე კი სულ პატარა ვარ,
მაგრამ მწერებს თვითონ ვჭამ.

მღეროდა, მღეროდა და ბუდიდან გადმოვარდა. დედა-ბელურა გამოედევნა. კატა — წითური, მწვანეთვალებიანი — სწორედ იქვე დაუხვდა. შეშინდა პუდიკო. ფრთები გაფარჩხა, თავის რუხ ფეხუნებზე ქანაობს და ჭიკჭიკებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჭირიმე, კატუნა, ჭირიმე.

აბურძგნული დედა-ბელურა პუდიკს განზე მიაგდებს. საშინელია დედა, გულადი, ნისკარტი დაულია — კატას შიგ თვალებში უმიზნებს:

— გასწი, გასწი! გაფრინდი, პუდიკ, ფანჯარაზე დაფრინდი, გაფრინდი!

პუდიკი მიწიდან შიშმა წამოაგდო. იგი შეხტა, ფრთები დაარხია, დაარხია და ფანჯარაზე გაჩნდა! იმ წამსვე დედაც მოფრინდა — ბოლომოგლეჯილი, მაგრამ მაინც ძლიერ გახარებული, შვილს გვერდით მოუჯდა, თავში ჩაუნისკარტა და უთხრა.

— ისწავლე ჭკუა?

— ჭკუა! ჭკუა! — თქვა პუდიკმა, — ყველაფერს ერთბაშად ვერ ისწავლი!

კატა კი მიწაზე ზის და თათებიდან დედა-ბელურის ბურტყლს იშორებს, შესცქერის მათ წითური, მწვანეთვალებიანი და გულნატკენი კნავის: — ასეთი პა-ატარა ბელურა, თაგუნასავით... მია-უ.

და ყველაფერი კეთილად დასრულდა. თუ დავივიწყებთ, რომ დედა ბოლომოგლეჯილი დარჩა.

თარგმნა რუსულიდან **ირ. ქავჟარაძემ**

კაღე ბოგოხიძე

ამხ. ლ. ბერიას სახელობის ქვიშხეთის ბანაკის პიონერებს

ქვევით ღელავს თეთრი ხევი,
მზის სხივებზე ღელე ბრწყინავს,
შენ წითელი ყელსახვევი
გულს ყაყაჩოდ დაგეფინა!

პიონერებს აწყობ რიგში,
მათთან ერთად შენც მზადა ხარ,
ვინც ოქტომბრის ქარში იშვი
და მზემ ნორჩი დაგინახა!

ბედნიერი ქვეყნის შვილო,
გაიზარდე, სხვებიც ზარდე,
ნორჩ ყვავილად გადაშლილო,
თავდაცვისთვის მოემზადე!

მოგვიწოდებს საზღვრის მცველად
ბელადი და ჩვენი მხარე,
შენც სამშობლოს გმირი ყველა
მშობელივით შეიყვარე!

ქვევით ღელავს თეთრი ღელე,
მიჩხრიალებს წყარო ველად,
შენი ხალხი ასახელე,
მზად იყავი საბრძოლველად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ჩხაიძე

შაქირა

1

შაქირა ხალვაში იმ დილით ადრე თავისი ორი ამხანაგით სკოლისაკენ მიდიოდა. ბავშვები მხიარული საუბრით მიჰყვებოდნენ რკინისგზის ხაზს, რომელიც გვირაბში შედიოდა და ზღვის გასწვრივ გაწოლილ ნაძვნარებს შორის მიიკლაკნებოდა. შაქირა ნელა მიდიოდა და თავისი ზარივით წკრიალა ხმით ხან მღეროდა და ხანაც ნაირნაირ ამბებს უყვებოდა ამხანაგებს ზღვაში ცურვისა, თევზაობის და რკინისგზაზე მომხდარი შემთხვევების შესახებ, რაც მამისაგან ჰქონდა გაგონილი.

შაქირას მამა სულეიმანი ბათომ-თბილისის რკინისგზის ხაზზე მუშაობდა და ამჟამად ჩაქვისთავ-ციხისძირის უბნები ებარა. დახელოვნებული იყო ამ საქმეში სულეიმანი. ხშირად აჯილდოვებდნენ, როგორც ფხიზელ მუშაკს, მაგრამ ამ ენერგიულ კაცსაც კინაღამ მოუვიდა საშინელი მარცხი, რაც ცუდი ამინდებით იყო გამოწვეული.

იმ ღამეს საშინელი დარი იდგა. ასეთი ამინდები მხოლოდ შავიზღვის სანაპირო ადგილებმა იცის. შეუჩერებლივ მოდიოდა კოკისპირული წვიმა და ჩამობნელებული ცა ელვის ნამსხვრევებს აყრიდა ნისლში გახვეულ სერებს. ხან აქ და ხან იქ გადაიგრიალებდა მეხი და შავი ზღვა დაჭრილ ლომივით ღმუოდა.

სულეიმანმა ამ საშინელ წვიმაში რამდენიმეჯერ დაათვალიერა რკინისგზის ხაზი და სადარაჯო საყუდში შევიდა. რკინისგზაზე მშვიდობიანად ჩამოიქროლა შუაღამისას საფოსტო მატარებელმა, ცეცხლის ოქროსფერი ნაპერწკლები მიმოფანტა ირგვლივ და ბათომისაკენ გასწია... მერე საფოსტოს სამარშრუტო მატარებელი მოჰყვა და ყველაფერი მიწყნარდა.

მოახლოვდა ალიონი. გადაიღო წვიმამ. ქარი ჩადგა. რუხი ღრუბლები მიმოიფანტნენ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე გამოჩნდა მთვარე, რომელიც მწიფე ფორთოხალივით ეკიდა უხილავ სივრცეში. სულეიმანმა ერთხელ კიდევ დაათვალიერა მთავარი ადგილები, განვლო გვირაბი, გადახედა აღელვებულ ზღვას, რომელიც გამაყრუებელი გრიალით ეხეთქებოდა კედლებს. როცა სულეიმანი უკან გამობრუნდა და გვირაბში შევიდა, გარედან მოესმა მძლავრი ხმა, რომელიც ზღვის ტალღების ხმაურისაგან დიდად არ განირჩეოდა, ანგარიში არ გაუწია, დაბრუნდა და სადარაჯო საყუდის წინ გაჩერდა. აქ იდგა დიდხანს. ნელნელა გათენდა. სულეიმანს უეცრად მოესმა ხმაური. გამოერკვა.

— მამა, გძინავს?! — სულეიმანმა თავის შვილი იცნო.

— შაქირა ხარ? რისთვის მიდიხართ ასე ადრე სკოლაში?

— მორიგე ვარ.

— წადი...

შაქირა გზას გაჰყვა თავის ამხანაგებთან ერთად.

2

Მშვენიერი დილა იყო. ციხისძირისა და ჩაქვის მუდამ მწვანე მიდამოები, მაისის წვიმის პირდაბანილი ყვავილები და ახლალორთქილი მოლით დაფარული მინდვრები ნაირნაირ ფერებში ელავდა. მანდარინ-ფორთოხლის ბუჩქებში მიმალული ბულბულები საამურად გალობდნენ. ევკალიპტების, კრეპტომერიებისა და მაგლონიების ხეებიდან ნელი ხმაურით ეშვებოდა წვიმის წვეთები, ხოლო ველური სუროთი დაბურული ციხისძირის მთა მდუმარებით მოცული იდგა.

ყველაფერი ისვენებდა, გარდა შავი ზღვისა, რომლის ამთაგორებული ტალღები გუგუნით მოემართებოდნენ ნაპირისაკენ, ეხეთქებოდნენ მთას და შხუილით ეშვებოდნენ დაბლა.

ბავშვებმა მხიარული საუბრით დიდი გზა გაიარეს ყიჟინითა და ხმაურით, გაირბინეს გვირაბი, ერთხელ კიდევ დაათვალიერეს ზღვაში ჩაწოლილი ლოდები და წინ წავიდნენ. გაიარეს ცოტაც და შაქირა გაჩერდა, კისერი დაიგრძელა, თვალები ფართედ დაალო.

— ბიჭებო,. ეს რა მომხდარა? — გაოცებით შეჰყვირა მან.

ყმაწვილებმა აქეთ-იქით მიმოიხედეს.

— სად იცქირებით... ვერ ხედავთ ამ ვეებერთელა კლდეს, როდის იყო აქ? მთელი მთა მონგრეულა, ბიჭოს, რელსებიც გაუხეთქია!

გაოცებული ბავშვები სწრაფად მიცვივდნენ მთიდან გადმოგორებულ ლოდს. გაოცდნენ. ლოდის მახლობლად რკინის გზის რელსი შუაზე იყო გახეთქილი.

შაქირამ სწრაფად გაიაზრა ყველაფერი: წვიმის გამო მთიდან ლოდი მოწყვეტილა, რკინისგზაზე დაგორებულა და დაზიანება გამოუწვევია, მაგრამ...

— მამამ იცის ეს? — სწრაფად გაიფიქრა შაქირამ. — ამ დილით მატარებელი გამოივლის. აქეთ კლდეები... იქით აბობოქრებული ზღვა... წინ გვირაბი... — შაქირა წარბშეკრული დაჰყურებდა გახეთქილ რელსს. მისი ამხანაგები ფერგამკრთალნი იდგნენ და შაქირას უმზერდნენ.

— არიქა, ბიჭებო, მამაჩემთან გავიქცეთ, გავაგებინოთ! — წამოიძახა შაქირამ, ჩანთა მოიძრო და ის იყო გაქცევას აპირებდა, რომ ქობულეთის მხრიდან ორთქლმავლის ხმა და მატარებლის გრიალი მოისმა.

— დილის მატარებელი მოდის! — შეჩერდა შაქირა, დაფიქრდა. რა ქნას? გაიქცეს? მიასწრებს კი მამასთან? მატარებელი ახლოვდება. ახლამწვანებულ ხეებს იქით გამოჩნდა კვამლი და ისევ განმეორდა ორთქლმავლის კივილი. მატარებლის ბორბლების გრიალი რელსების ჟრიალში ირეოდა. შაქირა წინ წავიდა, თითქოს აღარა ესმოდა რა, მატარებლის ხმაურის გარდა. იგი სწრაფად ავიდა მომაღლო ბექობზე და რკინისგზის გასწვრივ გაჩერდა. ნელა მოიხადა ქუდი. წინ არაფერი არ ჩანდა, გარდა ხეებისა და ბუჩქებისა. მატარებელი მთელი სისწრაფით მოქროდა ისე, როგორც გვირაბში შესვლის წინ იცის ხოლმე, მაგრამ თვით მატარებელი ჯერ არ ჩანდა. ამხანაგები შიშით მიუახლოვდნენ შაქირას, გაჩერდნენ მის გვერდით და აღმართეს ქუდები. მოახლოვდა მატარებელი. აი საცაა გამოვა. ბავშვები უშედეგოდ აქნევენ ქუდებს. სულ ორიოდე წამი — და ხალხით სავსე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელი ან ზღვაში გადაეშვებოდა, ან ციხისძირის მთებს მიეხეთქებოდა. შაქირამ სწრაფად გაიაზრა ყველაფერი. რა მოუვა მამას? რა მოუვა მათ, რომლებიც მატარებელში სხედან? მემანქანე ვერ ხედავს ბავშვებს, ან ხედავს და არ სჯერა. შაქირა რკინისგზაზე გამოვიდა და სწრაფად მომავალი ორთქმავლის წინ მარდად დაიქნია ქუდი.

რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა მატარებელი, ხოლო აღელვებული ბიჭი ბექობს მიაწყდა. გაჩერდა მატარებელი. დაცარიელდა ვაგონები. მგზავრები გარს შემოეხვივნენ გმირ ბავშვს. შაქირას დანახვა ყველას აინტერესებდა. რამდენი სიცოცხლე გადაარჩინა ოქტომბრელმა შაქირამ თავისი გმირული მოქმედებით! რკინისგზის ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა ბავშვებს და შაქირა ძვირფასი საჩუქრით დააჯილდოვა.

მიმქრალი

პატარების სიმღერა

სამშობლოვ,
სამშობლოვ,
ცა ფირუზლალებით!
მიყვარხარ,
ვით დედის
კეთილი თვალები.
ეს მდელოს
ბიბინი,
მწვანეზე
სრიალი...

ვიზრდებით,
მოვდივართ,
კისკისით,
წკრიალით.
შენი მზე,
შენი მზე
გვათბობს და
გვახარებს —
კომუნის
აკვანში

დანარწევ
პატარებს,
ვაშა შენს
კალთებში
გულს ლხენით
ანაძგერს —
შენს დროშებს
ალისფერს...
— ვაშა ჩვენს,
ოქტომბერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არნო ონელი

ნოდარის ოცნება

1

ბუხელ ბაღში გატაცებით
კითხულობდა მამა გაზეთს,
თან ზურიკოს, თამარს, ნოდარს
უამბობდა ამბავს ასეთს:
„მოსკოვიდან ამერიკას
გადაფრინდა ექვსი გმირი,
და მოედო მთელ მსოფლიოს
ეს ამბავი გასაკვირი.
სადაც ირგვლივ ყინულია,
თოვლია და მძაფრი ქარი,
არ ჩანს მიწა, არ ჩანს კაცი,
არც ეზო და არც სახლკარი, —
დაუშვებლივ, უსვენებლივ
გადალახეს გზები ძნელი,
აინუნშიც არ მოსვლიათ
გაჭირვება — განსაცდელი“
— „მითხარ, მამი, ნუთუ მფრინავს
არ ეღლება თვალი, ხელი,
ნუთუ კაცი გაგონილა
ამდენ ფრენით დაუღლელი?
— ისინი ხომ გმირებია,
სხვა გული აქვთ, სულ სხვა მკლავი,
მათი მკერდი ფოლადისგან
ნაწრთობია, ნაჭედავი...
ჩვენ მომავალს უნდა მივცეთ
უამრავი მათი მსგავსი,
როდი ჰშვენის ჩვენს სამშობლოს
ლაჩარი და ქონდრის კაცი“.
ამ დროს მამა მათ უჩვენებს
გმირ ჩკალოვის ლამაზ სურათს,
ნატრობს ნოდარ: „ნეტავ მასთან
ცის ლაჟვარდში შემაცურა!“

2

ივახშმეს და დაიძინეს,
ჩვენი ნოდარ სიზმარს ხედავს:
შორს სამგზავროდ გაემზადა,
ეთხოვება მამას, დედას.
თვითმფრინავი მომართა და
მოიმარჯვა ხელში საჭე...
განა მარტო... კაბინაში
ზურიკოს და თამარს აჯენს.
ჯერ ლაჟვარდში გაიქროლა,
შეერია ღრუბლებს მერე,
ბოლოს ისე გაერთობა,
ერთს ტკბილადაც შეიმღერებს.
არ გეგონოთ ჩვენს მფრინავში
გულადობის ძალამ იკლოს —
უცბათ... სადაც არ ელოდა,
შეეჩეხა პირქუშ ციკლონს!
მეტი რა გზა ჰქონდა ნოდარს,
შემობრუნდა მყისვე უკან,
და ყინულის ფართო ველზე
თვითმფრანავი ჩამოსკუპდა...
მაშ რა ექნა — მგზავრები ჰყავს,
როდი უნდა ცუდი მათთვის!
ვაი, ნახეთ... ყინულებზე
ამობობღდა თეთრი დათვი...
აქ ჩვენ ნოდარს გაელვიძა,
მიაჩერდა ჭერს და კედელს
და მიეცა აღტაცებით
ტკბილ ოცნებას განუწყვეტელს.

3

ღილით, როცა ზეზე ადგა,
მამას მისცა მტკიცე სიტყვა:
„გავიზრდები, ჩემს ფრენაზე
ვნახოთ, თუ რა ქება ითქვას!“
და მის შემდეგ ამ დიდ მიზანს
არ შორდება მისი ფიქრი,
ხშირად ხედავს ხოლმე სიზმარს:
თვითმფრინავით შორს... შორს მიჰქრის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ჭიჭინაძე

მარცვლები

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა,
შუაზე გადგიტეხია.

რაფიელ ერისთავი.

1.

სოფელში უცნაური ფაციფუცია, გლეხები მარნებში აგროვებენ გოდრებს, კალათებს, რეცხავენ საწნახლებს. მოსუფთავებულია ქვევრისთავები. პატარა ქოცოებს ზემოდან რეცხავენ ხნიერი გლეხები. ახალგაზრდები ვეება ჩასავალ ქვევრებში ჩასულან, მღერიან და უცნაური გაბოხებული ხმა ისმის.

მზია და ოთარიკოც იმზადებენ დანებსა და პატარა კალათებს. ყოველდღე ელიან რთველში გასვლას. პატარებმა არ იციან, თუ უფროსებმა როგორ გააკეთეს ამდენი ვენახი. მერე რა ოსტატურად არის დარგული, მწკრივებია ჯვარედინად. გახედავ ლარივით მწკრივ'ა და ყოველ ვაზზე ოქროსფერი მტევნები ასხია.

მზია და ოთარიკო ერთმანეთს შეჰკამათობენ:

— მე მიყვარს კრახუნა, ოჰ, რა გემრიელია! პირში რომ ჩაიდებ, მარცვლები კი არ იჭყლიტება, არამედ კრახაკრუხი გააქვს. ალბათ, კრახუნაც ამიტომ დაარქვეს, — ოთარიკო აქებდა კრახუნას და თანაც ალერსიანი თვალით უცქეროდა მტევნებით დახუნძლულ ვაზებს.

მზე სამხრეთიდან იცქირებოდა და ყოველი მარცვალი მინასავით გამჭვირვალე იყო. ოთარიკომ თავისი პატარა ხელით გამოსწია გიდელივით ჩამოგრძელებული მტევანი.

— მე რქაწითელი მირჩევნია, — თქვა მზიამ.

— იჰ, მართლა რომ არაფერი იცი, აი, შეხედე!

— როგორ, ეს მაგაზე ნაკლებია? — მზიამ რქაწითელის უფრო გრძელი მტევანი გამოსწია.

— აბა გასინჯე! — და მარცვალი მიაწოდა ოთარიკომ.

მზიამ ისე ჩაიდო პირში, თითქოს პირველად ნახულობდა მის გემოს.

— ორივე კარგია, — უპასუხა მოკლედ.

— მაგრამ კრახუნა მაინც უკეთესია, ადვილი მოსაწყვეტია, — სიცილით თქვა ოთარიკომ.

მზიამაც გადაიხარხარა.

— აჰა?! თორემ მაგისათვის გიყვარდა?!

ისინი შევიდნენ ეზოში, ხელში ეჭირათ გრძელი მტევნები და მარცვლებს პირში იყრიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

მოხასხასებულ ჭურებს გალანჯული სარქველები ახურავს. თავგამოგლესილი საწნახელიც მზად იყო ყურძნის ჩასაყრელად.

მზია და ოთარიკო თავიანთი პატარა ხელკალათებით უფროსებზე წინ გარბოდნენ ზვარისაკენ. კოლმეურნეთა მთელი უბანი ჩადგა ვრცელ ფართობში. იყო სიცილ-კისკისი, დროდადრო მეტად კარგი და მაცოცხლებელი სიმღერა.

ოთარიკოს ბაბუა მაქსიმელა ყველაზე ხნიერი იყო. წვერი ჰქონდა ბამბასავით თეთრი, გრძელი და განიერი. მწყერჩიტასავით დადიოდა. მისი წელმჩატობა ახალგაზრდებსაც კი ეხარბებოდათ. ახლაც შუაში იდგა მაქსიმელა, თითქოს ყველანი თავისი შვილები და შვილისშვილები იყვნენ. ის დაუსრულებლად ლაპარაკობდა,

— დიდი ნაშრომი კაცი ვარ. ვენახის მყნა რომ შემოვიდა, პირველად მე გავაკეთე, მერე მთელ სოფელს ჩემგან მიჰქონდა კვირტი. ვაკეთე ვაკეთე ასე და...

— ჰო, ჩემო ბაბუა მაქსიმელა, აკეთე, აკეთე, მაგრამ მაინც ერთ ხელისდადებაზე გქონდა გაშენებული, — შეესიტყვა მეზობლის კომკავშირელი ბიჭი.

— არა, ჩემო კარგო, შრომა თავიდანვე მიყვარდა.

— გიყვარდა, მაგრამ შრომის ფასი რა შეჰქმენი?

— ბევრი, — უცებ უპასუხა მაქსიმელამ.

— მაინც?

— შვილები, შვილიშვილები.

მზია და ოთარიკო ჰკრეფდნენ ყურძენს და ბაბუას დაუსრულებელ ბაასსაც ყურს უგდებდნენ.

— ეს კარგია, მაგრამ ვენახი?

— ვენახი აჰა, ეს ხომ ჩემია. ვთოხნი, ვსხლავ, ვკრეფ. იმ თვალუწვდენ ყანაში მეც ჩემი წილი მაქვს. ამიტომ ვარ წელმაგარი კაცი. რაც ახალგაზრდობაში ვიკვნესე, ახლა ათჯერ მეტს ვიცინი.

— აჰაი, ბაბუას სიცოცხლე, ბაბუას გახარება! — შესძახეს ახალგაზრდებმა ყოველი მხრიდან.

ბაბუა მაქსიმელა უფრო გახალისდა და ოქროსთვალება ყურძნით კალათას ავსებდა. მზიასა და ოთარიკოსაც უხაროდათ, ბაბუასაც რომ ასე გულთბილად ექცეოდნენ. ისინი დახტოდნენ ვაზების ძირებში. და-ძმანი კალათების ავსებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო:

ჭირიმე შენი ფესვისა,
მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით გასაჭირშია!

აყვნენ სხვებიც და სიხარული ტრიალებდა ზვარში.

— ეგ ძველია, სხვა ვთქვათ, — შეეტანა რომელიღაცამ შესწორება.

— ძველია, მაგრამ კარგია, — უპასუხა ბაბუა მაქსიმელამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

აა ამ შემოდგომაზე უკეთესი; რამდენი ხილია, რამდენი ყურძენი! — წამოიძახა ოთარიკომ.

ზვარიდან წამდაუწუმ გამოჰქონდათ ყურძნიანი გოდრები. თავი ედგათ ოქროსფერად. ივსებოდა უშველებელი საწნახელი, ხოლო ზვარში ისმოდა გაბმული ხალისიანი სიმღერა.

— ახლა ბაბუა, — მოგვიანებით დაიწყო მაქსიმელამ, — ყურძენს ჰკრეფ და შემოდგომა მოგწონს, მაგრამ მოვა დრო და ზამთარი მოგეწონება, ცა რომ რძისფერი ღრუბლებით გაივსება და თოვლის თეთრი ფანტელები გადმოცვივდება. ვინ გაგასწრებთ მაშინ თოვლში, შემოდგომა კი აღარ მოგაგონდებათ...

— ერიჰა, მაღლიდან რომ ციგით დავეშვები! — ინატრა ოთარიკომ.

— მოდის გაზაფხული, მწვანე და ხავერდოვანი, განაგრძობს კვლავ მაქსიმელა, — გაზაფხული სიცოცხლეა, სიხარულია. გაზაფხულსა და ბავშვებზე ერთი მშვენიერი ლექსი მახსოვს:

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.

— ბაბუამ ყველაფერი იცის, ყველაფერი, — სიხარულით წამოიძახა მზიამ და სავსე კალათა გოდორში ჩააპირქვავა.

— მოვა ზაფხული და ჰაიდაა, მდინარიდან ვინღა ამოგიყვანთ!

— ყველა კარგი ყოფილა, ყველა, — ერთხმად წამოიძახეს დედამ და პატარამ.

— შემოდგომა ხომ თვითონ გელაპარაკებათ თავის სიმშვენიერეზე, — დააბოლოვა ბაბუამ.

— ნამდვილია, — დაეთანხმენ კიდევ.

მზე დაწურული იყო და საწნახელი თავდადგმული იდგა. ვენახიდან გამოდიოდნენ მკრეფავები. ზოგს ორორ-სამსამი ცალიერი კალათა ეჭირა ხელში და ზოგსაც აკიდოები მოჰქონდა ლერწებით აჭრილი. მაგრამ სულ სხვაგვარი სიხარულით მოარბენიებდნენ აკიდოებს მზია და ოთარიკო, თითქოს ყველაზე უკეთესი მოჰქონდათ. ფოთლიანი პატარა ლერწები სულ მტევნებით იყო სავსე. ისინი მირბოდნენ შინისაკენ, მიჰქონდათ საზამთრო ყურძენი და სიხარული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი-ბაბა

(ალმოსავლური ზღაპარი)

ყო და არა იყო რა, ალმოსავლეთის ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსს ყასიმა ერქვა, უმცროსს — ალიბაბა. ყასიმა ვაჭარი იყო, მდიდარი და ხარბი. ალიბაბა კი ღარიბი გლეხი იყო. ყასიმა უზრუნველად და არხეინად ცხოვრობდა. ალიბაბას კი თავისი ოჯახი მძიმე ტვირთად აწვა კისერზე, იგი ჯალაბის გამოსაკვებად ტყესა და ღრეში დადიოდა, ჭრიდა შეშას და ქალაქში გასაყიდად მიჰქონდა.

ერთხელ, როცა ალიბაბა ტყეში ხეებს ჭრიდა, უცბად ცხენოსანთა რაზმს მოჰკრა თვალი. ცხენოსნები სწორედ იქითკენ მიდიოდნენ, სადაც ალიბაბას შეშით დატვირთული ვირები იდგნენ.

ცხენოსნებს მრისხანე შესახედაობა ჰქონდათ. ყოველ მათგანს უნაგირზე მძიმე ხურჯინი ეკიდა. ალიბაბამ ორმოცი ცხენოსანი დაითვალა.

—ალბათ ყაჩაღები იქნებიან, —გაიფიქრა ალიბაბამ და ძლიერ შეეშინდა, — ვაი თუ მომკლან და ვირები წამართვანო. საგონებელში ჩავარდა: არ იცოდა, რა ექნა. მალიად ვირები გზიდან გადაიყვანა, თვითონ ხეზე ავიდა და სულგანაბული ელოდა, რა მოხდებოდა.

ყაჩაღებმა ცხენები შეაჩერეს და იქვე ტყის მახლობლად ჩამოხტნენ. ხურჯინები გადმოიღეს, მხრებზე გადაიგდეს და ერთი მთისკენ გაემგზავრნენ.

ყაჩაღების წინამძღოლი დაწინაურდა. მიუახლოვდა მთას, აღაპყრო ორივე ხელი და ხმამაღლა წარმოთქვა:

—სეზამ, გაიღე!

მთა მაშინვე გადაიხსნა და გამოჩნდა გამოქვაბული.

ბელადი შევიდა, ამალაც თან შეჰყვა.

ცოტახნის შემდეგ ალიბაბამ დაინახა, რომ ყაჩაღებს ხურჯინები აღარ ჰქონდათ, გამოქვაბულში დაეტოვებინათ. სულ ბოლოს ყაჩაღების მეთაური მოდიოდა. გამოსვლისას იგი მიუბრუნდა მთას და უთხრა:

—სეზამ, დაიხურე!

მთა ისევ დაიხურა.

ყაჩაღები შემოახტენ ცხენებსა და გაქუსლეს.

ალიბაბა დიდხანს იჯდა ხეზე. ძირს ჩამოსვლას ვერა ბედავდა: ეშინოდა, ვაი თუ ყაჩაღები ისევ დაბრუნდნენო. მაგრამ ყაჩაღები არსად ჩანდნენ. მოეწყინა ალიბაბას ხეზე ჯდომა და ძირს ჩამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიბაბას კარგად დაახსოვდა ყაჩაღთა ბელადის სიტყვები და გაიფიქრა: მო-დი, მეც გავიმეორებ იმის ნათქვამს, ვნახოთ, მთა დამიჯერებს თუ არაო. ბევ-რი აღარ უფიქრია, მიირბინა მთასთან და შესძახა:

—სეზამ, გაიღე!

მთა მაშინვე გადაიხსნა. ალიბაბა, ცოტა არ იყოს. შეკრთა: ვაი თუ ვინმე გამოხტეს და თავი მომკვეთოსო, მაგრამ არავინ გამოჩენილა. გარშემო სიჩუმე იყო. ალიბაბას გული მიეცა და თამამად შევიდა გამოქვაბულში. შევიდა და რას ხედავს! რა გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იყო: აბრეშუმის ქსოვილები, ნაირფერი ძვირფასი ხალიჩები; მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ერთ კუთხეში ოქროთი და ვერცხლით გატენილი სკივრები და ტომრები ელაგა.

— აფსუს, რომ ყველაფერს ვერ მოვერევი! — სინანულით წარმოთქვა ალი-ბაბამ.

ცოტა ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა სამი ტომარა ოქრო მაინც წაეღო, მოიყვანა თა-ვისი სახედრები, დატვირთა საგანძურით და ზევიდან ფიჩხი დააფარა. გამოსვლის დროს მთას უბრძანა ისევ დაკეტილიყო, მთაც მა-შინვე დაიკეტა. თვითონ კი თავის ნადავლით შინისაკენ გაეშურა.

შინ რომ მივიდა, ცოლი მოიხმო და ყვე-ლაფერი უამბო.

— ახლა, ჩემო დედაკაცო, — დასძინა ალი-ბაბამ, — უნდა საჩქაროდ გადავმალოთ ოქრო-ები, თორემ, ხომ იცი მეზობლების ამბავი: დაგვიწყებენ გამოკითხვას: „საიდან და რო-გორ იშოვეთო". მე წავალ ბოსტანში, ერთ ორმოს ამოვთხრი, შენ კი მანამდე თვალყუ-რი გეჭიროს.

— მოიცა, ალიბაბა! — შეესიტყვა ცოლი, — ჯერ უნდა გავიგოთ, სულ რამ-დენი ოქროა ამ ტომრებში. ტყუილ — უბრალოდ რომ მიწაში ჩავმარხოთ, ვინმემ მიაგნოს და მოგვპაროს, არც-კი გვეცოდინება რამდენი ოქრო დავკარგეთ. ის არა სჯობია, შენ აქ დარჩე...მე კი წავალ და ჩანახს მოვიტან ასარწყავად.

ბევრი ემუდარა ალიბაბა თავის ცოლს, არწყვა საჭირო არ არისო. მაგრამ ჯიუტმა ცოლმა თავისი გაიყვანა. გაიქცა თავის რძალთან, ყასიმას ცოლთან, და ჩანახი სთხოვა. ყასიმას ცოლი ცნობისმოყვარე დედაკაცი იყო. უნდოდა გაეგო ისეთი რა ჰქონდა ღარიბ ალიბაბას, რომ ასარწყავი ყოფილიყო, ადგა და ჩანახს ძირზე თაფლი წაუსვა.

ალიბაბას ცოლმა არწყა ოქროები და ნათხოვარი ჩანახი ისევ პატრონს დაუ-ბრუნა. აბა რას წარმოიდგენდა, რომ ოქროები ჩანახს ძირზე მიეკვრებოდა.

ყასიმას ცოლმა რომ ოქროები დაინახა, მაშინვე თავის ქმარს უამბო, როცა მდიდარმა ყასიმამ თავისი ძმის გამდიდრების ამბავი შეიტყო, შურმა აიტანა. დი-ლაადრიან ალიბაბას სახლში გაჩნდა.

— შენ, ძმაო, ძალიან ჩუმჩუმა ყოფილხარ, თავს იკატუნებ, ღარიბი ვარო, ოქროებს კი ჩანახებითა რწყავ. საიდან გაგიჩნდა ამდენი სიმდიდრე? გირჩევნია გამოტყდე, თორემ ეხლავ წავალ და დაგაბეზღებ.

ალიბაბამ ძმის მუქარა აინუნშიაც არ ჩაიგდო, პირიქით, დაიტრაბახა კიდეც.. და ძმას ყველაფერი უამბო. ის სიტყვებიც კი უთხრა, რომლითაც მთა იხსნებოდა და იხურებოდა.

მეორე დღეს ყასიმა ათი ჯორით გაემგზავრა ნაჩვენები ადგილისაკენ, ნიშნეული მთა ადვილად იპოვა და შეჰყვირა:

— სეზამ, გაიღე!

მთა მაშინვე გადაიხსნა. ყასიმა შევიდა. მთა ისევ დაიხურა. ყასიმა დიდხანს ათვალიერებდა განძეულობას, მერე გადაარჩია რაც მოეწონა და ის იყო ჯორები უნდა დაეტვირთა, რომ გასავალი დაკეტილი დაუხვდა. ელდა ეცა. ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერ მოიგონა ის სიტყვა, რომლითაც მთა უნდა გახსნილიყო. ათასი სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ არც ერთი არ მოქმედებდა. ყასიმას თავზარი დაეცა, რამდენსაც მეტს ცდილობდა მოეგონა ის ჯადოსანი სიტყვა, მით უფრო და უფრო იბნეოდა. დიდხანს იყო ამ ტანჯვაში. უცბად მოესმა ცხენების თქარათქური, მიხვდა, რომ ყაჩაღები იქნებოდნენ, უნდოდა დამალულიყო, მაგრამ გვიანღა იყო. ყაჩაღების მეთაური თავს წაადგა. უცხო ადამიანი რომ დაინახა, ელეთმელეთი მოუვიდა, იშიშვლა ხმალი და დაუპატიჟებელ სტუმარს თავი გააგდებინა, მერე თავის ამალას უბრძანა: ლუკმალუკმა აკუწეთ და სხვათა შესაშინებლად კარებთან დაჰყარეთო. ასეც მოიქცნენ.

ყასიმას ცოლი ელოდა ქმარს, ელოდა და რომ დაიგვიანა, ძალიან შეწუხდა ველარ მოითმინა და ამბის შესატყობად ალიბაბასთან გაიქცა. ალიბაბა მიხვდა, რომ მის ძმას რაღაც უბედურება დაატყდა თავს, გაირეკა თავისი ვირები და წავიდა ტყისაკენ. მთას რომ მიუახლოვდა, თავისი ძმის აკუწული გვამი ნახა. აჰკრიფა, ტომრებში ჩააწყო და შინ წამოიღო, რათა წესისამებრ მიწისთვის მიებარებინა.

გვამი რომ ასე აჩეხილი არ დაემარხათ, საჭირო იყო სხეულის შეკერვა. ამიტომ უნდა მოეძებნათ ისეთი ადამიანი, რომელიც საიდუმლოსაც შეინახავდა და შეკერვასაც მოახერხებდა. ეს საქმე იკისრა ყასიმას მოახლე გოგომ მორღიანამ.

მორღიანა ძალიან მოხერხებული ქალი იყო,

ყასიმას სახლის მახლობლად მოედანზე ცხოვრობდა ერთი ღარიბი ხარაზი, სახელად ბაბა მუსტაფა. მორღიანა ამ ხარაზთან მივიდა და უთხრა:

— იცი რა უნდა გითხრა, ბაბა მუსტაფა, — და დაზგაზე ოქროს ფული დაუდო, აიღე შენი ხელსაწყო და გამომყე. მხოლოდ გაფრთხილებ, ერთ ადგილას თვალები უნდა აგიხვიო.

ხარაზი ამაზე უარს ამბობდა, მაგრამ როცა მორღიანამ მეორე ოქროც გაუწოდა, მაშინ კი იკადრა წასვლა.

მორღიანამ ხარაზი ალიბაბას სახლში თვალახვეული მიიყვანა და მხოლოდ მაშინ აუხსნა თვალები, როცა ყასიმას გვამთან გაჩნდნენ.

ბაბა მუსტაფამ მორღიანას ბრძანებით გაკერა ყასიმას სხეული, შემდეგ მსახურმა კვლავ აუხვია თვალები მუსტაფას და ისე გაისტუმრა. წასვლისას მორღიანამ მესამე ოქროც აჩუქა და გამოეთხოვა. ყასიმა დიდი ამბით დაკრძალეს, მისმა ცოლმა კი ხმა დაარხია, ჩემი ქმარი მოულოდნელად გარდაიცვალაო.

აი, ასე დაიღუპა ალიბაბას უფროსი ძმა ყასიმა თავისი შურიანობისა და გაუმაძღრობის წყალობით.

(დასასრული იქნება)

თარგმანი ი. გრიშაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

წყლისსანთელა

ჩვენი ტბები კარგები არიან მარტო იმით კი არა, რომ ლამაზები არიან, არამედ იმითაც, რომ შიგ მრავალი თავისებური მცენარე და ცხოველი ცხოვრობს. აი თუნდაც მთა-ბორჩალოში შამბიანის მთის კალთაზე მდებარეობს ერთი პაწაწინა კოპწია ტბა, მისი ნახვა ყველას გაეხარდება, რადგან ტბის ლურჯ ზედაპირზე გადაშლილა დუმფარას თეთრი და დიდი ყვავილები; ეს მცენარე ჩვენში ბევრგან არაა, მხოლოდ ზოგან თუ დარჩენილა, მაგრამ დუმფარაზე საინტერესო ამ ტბაში სხვაა: წყლისსანთელა.

მართლაც რომ წყლის სანთელია! ერთადერთ მოწითალო ღეროზე ყვითელი ყვავილი ალივით ანთია, და თუ ქარმა დაუბერა, იგი წყლის ზედაპირზე მოცურავს. გაგიკვირდებათ: ნუთუ ფესვები არა აქვს და მიმაგრებული არ არისო? მართლადაც ფესვები არა აქვს. მაშ როგორ საზრდოობს? აი როგორ: წყლის ზედაპირზე მარტო ღეროა, ერთი ყვავილით, ფოთლებიანი ტოტები კი მთლიანად წყალში აქვს ჩაყურყუმალავებული. ამ ღეროზე ორნაირი ფოთოლია— ერთი ჩვეულებრივი, დაკუწული, მეორე კი პაწაწინა პარკსა ჰგავს. ისიც ფოთოლია, მაგრამ პარკად ქცეული. ეს პარკი ნამდვილ ხაფანგსა ჰგავს. მას ცალი მხარე ღია აქვს, და ამ ღია კართან შიგნიდან პაწაწინა ნაზი ბეწვები აქვს მოფარებული. ამ პარკში ხშირად დიდი უბედურება ტრიალდება, მრავალი პაწაწინა მწერის სიცოცხლე იღუპება.



წყალში მრავალი პატარა მწერი და ცხოველი დაცურავს, მაგალითად, მარად მოუსვენარი პაწაწინა დაფნე. ცელქობს წყალში, ტრიალებს, თითქმის ხტუნავს. ამ ტრიალ-ხტუნვაში პარკის ღია კარით ხშირად თავს ამოყოფს ხოლმე შიგ პარკში, მაგრამ კარში ვეღარ გამოდის, რადგან ბუსუსები, ზევიდან ქვევით რომაა ჩაშვებული, კარს უხურავენ, აღარ უშვებენ...

აწყდება ეს პაწაწინა ცხოველი ირგვლივ მაგარ კედლებს, იღლება. მკვდარი მწერი იხრწნება და ამ გახრწნილის წვენს ითვისებს ეს პარკი, როგორც საზრდო მასალას. პარკიდან ეს საზრდო მთელ მცენარეში ნაწილდება...

ასეთი პარკი ბევრი აქვს, აურაცხელი, და ვინაიდან დამდგარ წყალში ასეთი პაწაწინა ცხოველი ბევრია, ამიტომ ბევრიც მოემწყვდევა ხოლმე ამ უცნაურ ხაფანგში და მცენარეს საზრდოდ სავსებით ჰყოფნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. აკოფოვი

პაჭარა ლიზიკო

დაცუნცულებს ყურცქვიტა,
სახეპირმომცინარი,
სულ ტიკტიკებს, ჭიკჭიკებს,
კარშია თუ შინ არი.

და თუ ნახეთ როდესმე
თვით საწოლში მძინარი,
გაოცდებით და იტყვით:
— მტრედია, თუ ვინ არი?

დალულუნებს, თავს ევლება
დედოფალა ანასა,
ჩვილ ტუჩებს აცმაცუნებს,
ეუბნება ნანასა.

„იძინეო, იძინე,
გეტყვი გამოცანასა,
სხვა მეგობარს ვერაგზით
ნახავ ჩემისთანასა“.

დილით ადრე საწოლში
თვალს გაახელს მძინარი,
წამოდგება საჩქაროდ
სახეპირმომცინარი...

დაცუნცულებს ყურცქვიტა,
კარშია თუ შინ არი,
სკოლაც უყვარს ლიზიკოს,
სწავლაშიაც წინ არი.

ლადო კახიანი

მაჩვზღარბი

ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში (ალჟირი, ტუნისი, ტრიპოლისი, იტალია, საბერძნეთი) და აგრეთვე ეგვიპტე-სუდანში ცხოვრობს ერთი საკვირველი ქმნილება, რომელსაც ჩვეულებრივ მაჩვზღარბს უწოდებენ. უჩვეულოდ გაჯაგრული ტანი, სუსხიანი ეკლებით მოსილი კუდი, გრძელი ფაფრიანი კისერი

მას მეტად საინტერესო ცხოველად ხდის· მასზე ნადირობა განსაკუთრებით იტალიაშია გავრცელებული. მონადირეები ხალისითა და გატაცებით დასდევენ უცნაურ, უმსგავსო არსებას, კლავენ ან დატყვევებული მიყავთ სახლში. საბრალო მხეცუნა სუსტად არის შეიარაღებული მძლავრი მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, კბილები და წვეტიანი ისრები, რომელიც მას გააჩნია, საკმაოდ სუსტია არამც თუ ვინმეზე თავდასასხმელად, უბრალო რიგიანი თავდაცვის წარმოებისათვისაც კი. როცა მტერი თავს ესხმის, ის მიმართავს ერთს ფრიად ახირებულ საშუალებას: უმალვე აიჯაგრება, ნემსისებრ წვეტოვან ისრებს აღმართავს, ამ ისრების და კუდის მძლავრად ერთმანეთზე და მიწაზე ცემით საშინელ ხმაურს, ზმუილსა და ალიაქოთს ტეხს... ეს

ხერხი ხშირად ჭრის, თავდამსხმელი კრთება საშინელი სანახაობის წინაშე და უკან გარბის.

ნაცადი მონადირეები კარგად იცნობენ ბაქიბუქა და ფაფხურა მაჩვზლარბს. ზოგჯერ პირდაპირ ჯიქურ მიდიან მასთან, ფაფარში მარჯვედ ავლებენ ხელს და სახლში არხეინად მიაჩანჩალებენ. შეშინებული მაჩვზლარბი ასეთ შემთხვევაში ისე იბნევა, რომ სრულიად ავიწყდება თავისი მჭრელი კბილების დროულად ამოქმედება.

ძლიერ უჭირვებენ მაჩვზლარბს საქმეს მეძებარი ძაღლები. ჭირვეული მეძებრები მის კვალს ადვილად აგნებენ, შემოარტყამენ ალყას და მონადირეებს ყეფით აცნობებენ, რომ „ნადირი“ დატყვევებულია.

მონადირეები მაშინვე მიეშურებიან ნაჩვენები ადგილისაკენ და თავისებური ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ ეუფლებიან დამარცხებულ ტყისშვილს. მაჩვზლარბს ზოგან ჭამენ, უმეტეს ნაწილად კი სათამაშოდ, გასართობად იყენებენ: დაატარებენ ქუჩა-ქუჩა, სანახავად დიდძალი ხალხი აწყდებათ, მოშინაურებულ ცხოველს სასაცილოდ ათამაშებენ და ამით მისი დამტარებლები ფულს აგროვებენ მაყურებლებისაგან. მაჩვზლარბს საერთოდ არავითარი ვნება არ მოაქვს ადამიანისათვის, ის არავის არ ესხმის თავს, კმაყოფილდება მცენარეულით. ჭამს ბალახს, თავცეცხლს, ხის ძირებს, კანს, ნაყოფს და სხვ.

მამამ თავის ბატარა ვაჟს, გივის, ერთი ვაშლი მისცა. გივიმ ვაშლი მაშინვე ჭირისაკენ გააქანა და მალე კუჭის ფსკერი უჩვენა. ვაშლი რომ გაათავა, მან მწარე ტირილი მორთო. მამა მიხვდა, რომ ტირილის მიზეზი ვაშლის გათავება იყო, და უთხრა:

— შე კაი კაცო, ამიტომ რა გატირებს? ერთ ვაშლს კიდევ მოგცემო.—და, მართლაც, ერთი მშვენიერი წითელი ვაშლი კიდევ მისცა. ბავშვმა ვაშლი გამოართვა და ტირილს კიდევ უფრო უმატა.

მამას გაუკვირდა და ჰკითხა:

—ახლა რაღა გატირებსო?

—იგი რომ არ შემეჭამა, ახლა ორი ვაშლი მექნებოდაო,—ცრემლების ელავით უპასუხა ბავშვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანა

ტანჰატარა არსებაა,
მიწაში აქვს მეუდრო ბინა,
არასოდეს არ მოძსდარა,
რომ მას კაცი დაეკბინა.

ზევით ისე ამოძვრება,
რომ არ უნდა სულაც ბარი;
ჭია-მატლებს მარჯვედ სოცავს,
არის ბოსტნის მეგობარი.

ალ. საჩინოელი

ამოცანა ასანთებზე

აქ დასატული ფიგურა წარმოადგენს 4 კვადრატს, რისთვისაც გამოყენებულია 12 ცალი ასანთი.

როგორ შეიძლება 12 ღერი ასანთის გამოყენება და დალაგება ისე, რომ მივიღოთ სამი კვადრატი?

კლ. თევზაძე

გამოცანა

ეზოში დადიოდნენ ღორები და ბატები. მათ გასარეკად ბაბუა ნიკო და შვილიშვილი აკაკი გამოვიდნენ. შვილიშვილმა ბაბუას ჰკითხა: რამდენი ღორი და ბატი გვეავსო? ბაბუამ მიუგო: 25 თავი და 70 ფეხია. ახლა შენ თვითონ მიხვდი, რამდენიც იქნებაო. შვილიშვილმა იფიქრა და გამოიცნო.

გეგეჭკორის სოფ. აბედათის არასრული საშუალო სკოლის VII-კლ. მოწ. ჯოდოკრ დადიანი

რედაქციისაგან: თუ „ოქტომბრელის“ მკითხველები გამოიცნობენ, მათ გვარებს მომავალ ნომერში დავბეჭდავთ.